პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 282 (20573) — სამშაბათი, 10 ოქტომბერი, 1989 წელი — ფასი 3 კაპ.

რთველი — 89

წარმატებით დაიწყო რთველი მცხეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. წლიურს რაიონში 7980 ტონა ყურძენი უნდა დაამზადონ.

„ხაქმანქანგამოცდის“ სადგურის მცხეთის წეროვნის მევენახეობის საცდელ მეურნეობაში 532 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვთ და ვარაუდობენ, რომ საშუალოდ ჰექტარზე 52 ცენტნერ ხარისხოვან ყურძენს მოკრეფენ.

მეურნეობაში ბევრი მოწინავე მკრეფავია, მათ შორის დაგვასახელეს მ. ჯავკავაძე, ო. ხახიაშვილი, შ. მელაძე და სხვები.

სურათზე: მკრეფავი მ. უთრუგაშვილი.

გიორგი გოგოხიას ფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). შემოდგომის ფერებით, დროშებით, ტრანსპარანტებით და პანნოებით დამშვენდა ბერლინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქების ქუჩები და მოედნები. რესპუბლიკა ზეიმით აღნიშნავს დაარსების 40 წლისთავს. დღესასწაულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირიდან — მომე მოკავშირე ქვეყნებიდან ჩამოსული სპატიო სტუმრის მოწაფილობა, რომელთანაც მრავალმრიგი თანამშრომლობა გერმანიის მიწა-წყალზე სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი გახდა.

შენეფელდის აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვის დასახვედრად მოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. ზუსტად 10 საათსა და 30 წუთზე ეშვება საბჭოთა ილ-62 ლაინერი. თვითმფრინავთან მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს ხვდებიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი მეუღლითურთ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მ. ს. გორბაჩოვის შესახვედრად. დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი მაგისტრალი — უნტერ-დენ-ლინდენის ქუჩა კილომეტრ-ნახევრის სიგრძეზე მორთულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სხვა სოციალისტური ქვეყნების დროშებით, პროლეტარული ერთიანობის ალისფერი ალმებით. ბევრ შენობაზე გამოკრულია ტრანსპარანტები, რომლებიც ასახავენ სოციალისტურ აღმშენებლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს, რესპუბლიკის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებას, აქტიური წვლილი შეიტანონ ევროპაში მშვიდობის, უშიშროებისა და კეთილმეზობლობის უზრუნველყოფაში.

ასობით ადამიანი შეიკრიბა გამოცოცხლებული ბერლინის მაგისტრალის მთავარ გზაჯვარედინებზე. ამ „მეგობრული პიკეტების“ მიახლოებისას ავტომანქანების კორტეჟმა არაერთხელ შეანელა სვლა. მაგრამ ბერლინელები განსაკუთრებით მჭიდრო რკალად შემოერტყნენ გარს მ. ს. გორბაჩოვს ტრეპტოვ-პარკში. ბერლინის მცხოვრებნი ხშირად მოდიან აქ. გადარჩენილი გოგონათა ხელში საბჭოთა მეომრის მთელ მსოფლიოში ცნობილი სიმბოლური ფიგურა განასახიერებს ფაშიზმისაგან მსოფლიოს მხსნელი საბჭოთა მეომრების მიმართ მადლიერების გრძნობას.

მემორიალური კომპლექსის ხეივნებში, რომელიც ინახავს ორი ხალხის ისტორიის მრისხანე წარსულის ხსოვნას, გულახდილი საუბარი გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელსა და რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის.

ჩვენი თაობა, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენი ორი ხალხისათვის საზარელი ომის მომსწრეა. ამასთან იმ ხალხებისა, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში თანამშრომლობდნენ. ამიტომ ახლა შეგვიძლია დღევანდელი დღის შედარება წარსულთან. ჩვენმა ქვეყნებმა ცალ-ცალკე და განსაკუთრებით ერთად, ბევრი რამ გააკეთეს. ის, რაც თქვენმა მამებმა შექმნეს 40 წლის განმავლობაში თავიანთ მიწა-წყალზე, შემკვიდრეობად რჩება ახალ თაობებს. უნდა გვახსოვდეს წარსული და არ დავკარგოთ ცხოვრების ორიენტირები. ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საამედო ორიენტირია ჩვენი მეგობრობა.

ახალგაზრდობის ჯგუფი აღფრთოვანებით ხვდება სტუმარს. „ჩვენ მოგწერთ, მიხეილ სერგის ძეს“ — გაიძახიან ყმაწვილები. ეს პაუელ ესტრაიხის სახელობის გიმნაზიის უფროსკლასელები არიან, რომლებმაც ამას წინათ მისწერეს მ. ს. გორბაჩოვს წერილი და მისგან მიიღეს მოწვევა მოსკოვში.

— ვინ მომწერა ასეთი კარგი წერილი? — იკითხა მიხეილ სერგის ძემ.

— ჩვენ — ყველამ ერთად, — გაისმა პასუხად.

— რა გქვია?

— მე — შტეფანი!

— მე — ინგა!

— მე — პეტერი!

— მე კი ანკა ვირგელორაკი ვარ. მინდა ეკონომისტი გავხდე, იმიტომ, რომ ეს ახლა მეტად საჭიროა სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე გარდაქმნისათვის.

— ყოჩაღ, ანკა, გეთანხმები. ცხოვრება ძნელ ამოცანებს გისახავთ, მაგრამ ნუ დაიბნევით.

აღნიშნავს რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 40 წლისთავს, ქვეყანას ახსოვს და პატივს მიაგებს იმათ, ვინც გერმანიის მიწა-წყალზე იბრძოდა და თავი დადო „სოციალიზმისა და მშვიდობის იდეალების განხორციელებისათვის. ასობით ადამიანი მიდის უნტერ დენ ლინდენის ქუჩაზე ალმაურული ფაშიზმისა და მილიტარიზმის მსხვერპლთა ძეგლთან ანთებულ მარადიულ ცეცხლთან. მ. ს. გორბაჩოვმა იგი გვირგვინით შეამკო. მემორიალიდან გამოსვლისას გაიმართა მოკლე საუბარი მრავალ ჟურნალისტთან.

იცით, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ასეთი თარიღები ყოველთვის ფიქრებს აღგვიძრავს. მე ვიყავი ტრეპტოვ-პარკში, ვესაუბრე ახალგაზდრობას. ვთქვი, რომ ჩემმა თაობამ კარგად იცის, რა არის ეს. შეგვიძლია შევადაროთ, რანი ვიყოფთ და რანი გავხდით. ყველაფერი ისე როდი მოხდა, როგორც ჩაფიქრებული იყო მაშინ, გამარჯვების შემდგომ პირველ დღეებში. თუმცა დაღუპულთა ხსოვნა გვავალებდა ამას, ათობით წლები დასჭირდა, მივხვედრილიყავით, რომ ვცხოვრობთ ერთ მიწაზე, შევადგენთ ერთ ცივილიზაციას. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ვიცხოვროთ ერთად, პატივი ვცეთ ერთმანეთის კულტურასა და ისტორიას, გავუფიაროთ და შევეჯიბროთ ერთმანეთს. აქ ვუახლოვდები ჩემს თემას: ახალი აზროვნება. დარწმუნებული ვარ, რომ იგი გვეჭირდება და, ჩემი აზრით, ახალმა აზროვნებამ ახლა ადგილი დაიმკვიდრა არა მარტო პოლიტიკოსების, არა მარტო მეცნიერების გონებაში, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ხალხთა ფართო მასებში.

მიხეილ სერგის ძეს, როგორი ურთიერთობა გაქვთ ერიხ ჰონეკერთან? — ჰკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

— კარგი, — გაისმა პასუხად. — დიდი ხნის, ამხანაგური ურთიერთობა.

კიდევ ერთი კითხვა: რას ფიქრობთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გარდაქმნაზე?

მ. ს. გორბაჩოვი: ყველაზე მთავარი ის არის, თუ რას ფიქრობენ ამის შესახებ თვით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი. გარდაქმნა რომ ჩაგვფიქრებინა და განგვეხორციელებინა გარეთან კარნახით, და არა საკუთარი გაკვეთილებით, საკუთარი პრობლემებით, ჩვენს ხალხთან მოუთათბირებლად, გარდაქმნიდან არაფერი არ გამოვიდოდა. იგი კი ჩქარდება. ეს უძნელესი საქმეა, იქნებ, ყველაზე დიდი შემობრუნებაც ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში. მაგრამ ჩვენ იგი გვჭირდებოდა. და მე დარწმუნებული ვარ: თითოეული ქვეყანა, თითოეული ხალხი, თავად განსაზღვრავს, რა სჭირდება მას. კარგად ვიცნობთ ჩვენს გერმანელ მეგობრებს, მათ უნარს გაიაზრონ ცხოვრება და ისწავლონ პოლიტიკის პროგნოზირება, შეიტანონ კორექტივები, როცა ეს საჭიროა. და მას სრული ნდობით ვეკიდებთ.

ჟურნალისტი: ხომ არ ფიქრობთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სიტუაცია ახლა სახიფათოა?

მ. ს. გორბაჩოვი: არა, არ ვფიქრობ. განსაკუთრებით, — თუ მე მათ შევუფარდებ საკუთარ პრობლემებს. ჩვენ გამოვიწრთეთ და ვიმეცადინეთ, როგორ წარვმართოთ საქმე. ვფიქრობ, საშიშროება ემუქრებათ მხოლოდ იმათ, ვინც რეაგირებას არ ახდენს ცხოვრების მწვავე საკითხებზე. ხოლო ისა, ვინც აღიქვამს მის იმპულსებს და გარდაქმნის მათ შესაბამის პოლიტიკად, სიძნელეები არ უნდა აშინებდეს.

ნაშუადღეს რესპუბლიკის სასახლეში გაიმართა იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. აქ შეიკრიბნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახელმწიფო საბჭოს წევრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატები, პარტიული, ახალგაზრდული, ეროვნულ ფრონტში შემავალი სხვა მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქვე არიან გერმანიის მუშათა მოძრაობის ვეტერანები, ისინი, ვინც საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარულ გერმანულ სახელმწიფოს, შრომის მოწინავენი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის მეომრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზღვარგარეთელი სტუმრები.

ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მ. ს. გორბაჩოვს, ზეიმზე ჩამოსულ პარტიისა და მთავრობის დელეგაციების მეთაურებს — ამხანაგებს ტ. ჟივკოვს, ვ. იარუზელსკის, მ. იაკუბს, ნ. ჩაუშესკუს, ნგუენ ვან ლინს, ჟ. ბატმუნჰს და იაო ილინს.

სხდომა გახსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ლ. კოლდიცმა.

ჟღერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

ინტერესით მოისმინეს კრების მონაწილეებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება, რომელიც გააკეთა ე. ჰონეკერმა. დარბაზი მხურვალედ მიესალმა მის გამოსვლას.

შემდეგ გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი. მის სიტყვას დიდი ყურადღებით უსმენდნენ და დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

გვიან საღამოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი გაანათა პროექტორებისა და ჩირაღდნების შუქმა. ათიათასობით ქალაქელი და ჭაბუკი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში. ისინი მხურვალედ მიესალმნენ სადღესასწაულო ტრიბუნაზე მდგომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ რესპუბლიკის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე დასასწრებად. ტელემაყურებლებმა ე. ჰონეკერს და მ. ს. გორბაჩოვს თაიგულები მიართვეს.

შეკრებილთ მიესალმა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს პირველი მდივანი ე. აურიხი.

ფანფარების, რევოლუციური სიმღერების მელოდიების თანხლებით დაიწყო ჩირაღდნებიანი სვლა — რესპუბლიკის ახალგაზრდობის მარში, რაც სიმბოლურად გამოხატავს რევოლუციური ტრადიციებისადმი, სოციალიზმის, მშვიდობის საქმისა და ხალხთა მეგობრობისადმი მის ერთგულებას. კოლონებში ჩაიარეს ახალგაზრდა მუშებმა და მინდვრის მშრომელებმა, სტუდენტებმა, ტექნიკუმელმა პიონერებმა. მოედანზე მოჰქონდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროშები, რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის ემბლემები, მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუბილე გერმანიის მიწა-წყალზე ალმშენებლობისა და მშვიდობის მკაფიო დღესასწაულად გადაიქცა.

• • •

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს 40 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოცხადდა გერმანიის მიწა-წყალზე ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. სადღესასწაულო ატმოსფერო სუფევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში. მაგრამ ადგილობრივი და საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის მთავარი ყურადღება კვლავინდებურად მიპყრობილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინისადმი, სადაც შეიკრიბნენ სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლები.

გუშინ ბერლინელები და დედაქალაქის სტუმრები განსაკუთრებული გულითადობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მ. ს. გორბაჩოვს. მისი მგზავრობა ქალაქში, მემორიალების დათვალიერება, გულახდილი, გულითადი საუბრები მშრომელებთან და მოსწავლეებთან, ახალგაზრდობის ჩირაღდნებით მსვლელობაში მონაწილეობა დღესასწაულის განუყოფელი ნაწილი გახდა. საიუბილეო-საზეიმო სხდომაზე საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლაში წარმოდგენილი სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ურთიერთმოქმედების განმტკიცების პროგრამას ფართო რეზონანსი მოჰყვა ქვეყანაშიც და მსოფლიოშიც, იგი საერთაშორისო საქმეებში პოზიტიური ტენდენციების შემდგომი სტაბილიზაციის იმედს გვისახავს.

დღეს კი იუბილეს მთავარი მოვლენა გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის საზეიმო პარადი, რომელიც კარლ-მარქს-ალეაზე — ბერლინის ცენტრალურ მაგისტრალზე გაიმართა. მწყობრი ნაბიჯით ტრიბუნებს ჩაუარეს ყველა გვარეობის ჯარების ქვეგანაყოფებმა, თანამედროვე სამხედრო ტექნიკამ, პარადის მონაწილეებს მისალმნენ ე. ჰონეკერი, მ. ს. გორბაჩოვი, საზღვარგარეთის დელეგაციათა ხელმძღვანელები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ამაყობენ თავიანთი სახალხო არმიით, ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. თავისი შექმნის პირველი დღიდანვე რესპუბლიკა შეუნელებელ ძალისხმევას ახმარდა მშვიდობისა და კეთილმეზობლობის განმტკიცებას. მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა მუდამ იყო გერმანიის მიწა-წყალზე სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლესი მიზანი. და როცა ახალმა აზროვნებამ დაიწყო დადებითი ზეგავლენის მოხდენა საერთაშორისო ვითარებაზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის შენელების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მშვიდობიანი ინიციატივების ერთ-ერთი მთავარი თანაავტორი გახდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიის -აქტივშია ევროპაში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნის, ბირთვული ტაქტიკური იარაღის ლიკვიდაციის წინადადებანი, და ბოლოს, ახლახან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ცალმხრივი ღონისძიებანი თავისი შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის.

ლამაზი, შთამბეჭდავი იყო ჯარების კოლონებისა და საბრძოლო ტექნიკის მარში კარლ-მარქს-ალეაზე. დღესასწაულის მთელ ატმოსფეროში იგრძობოდა დროის სულისკვეთება, რესპუბლიკის მისწრაფება ყველა პრობლემა დაჯერას დიალოგის, ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების გზით.

გერმანიის მიწა-წყალზე შექმნილი სახალხო სახელმწიფოს უმაღესი მიზანი გახდა მშრომელი ადამიანების, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის უზრუნველყოფის ინტერესები. და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ხედავენ, რომ ამ იდეალებმა სახალხო სახელმწიფოს ფართო საერთაშორისო აღიარება მოუპოვეს. კურტ ეფერმანს, ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მონაწილეს, რომელსაც ვესაუბრეთ ბერლინის ერთ-ერთ ქუჩაში, არ დაუშალავს მღელვარება ამ სადღესასწაულო დღეს. დღეს, 40 წლის შემდეგ, თქვა მან, დავრწმუნდით, რომ ჩვენს მეცადინეობას ფუჭად არ ჩაუვლია, სახალხო ხელისუფლების გამარჯვების იმედი აგვიხდა. როცა საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ქვეყანას, ჩემი თანამემამულეების სიხარულით გაცისკროვნებულ სახეებს ვუყურებ, ვამაყობ, რომ სოციალიზმის წარმატებებში ჩემი შრომის წილიც არის. მოხარული ვარ, რომ მთელი ომისშემდგომი პერიოდი განვლეთ, როგორც მიხეილ გორბაჩოვმა თქვა, თანამშრომლობასა და ერთმანეთის მხარდაჭერაზე, ჩვენი იდეალებისა და მიზნების ერთიანობაზე დაყრდნობით.

„ჩვენთან სტუმრად მოსული“ უამრავი ალამი, თქვა ჩვენმა მეორე თანამებრძოლმა ერნსტ ჰოფმანმა, ბერლინის მეტროს მუშაკმა, ყველაზე დამაჯერებელი პასუხია დასავლეთის მტკიცებაზე, თითქოს იზრდებოდეს „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იზოლაცია“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 40 წლის იუბილე, თქვა მან, მიმდინარეობს მისი მზარდი ავტორიტეტის, ევროპის „კონტინენტის ცენტრში უშიშროების განმტკიცების შესახებ მისი ახალი წინადადებების პოპულარობის ნიშნით. ეს საკითხები აისახა ე. ჰონეკერისა და მ. ს. გორბაჩოვის საუბრებში. ორი მომე ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრები პარადის დამთავრებისთანავე გაიმართა საბჭოთა სტუმრისათვის განკუთვნილ რეზიდენციაში. მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. იგი ესაუბრა აგრეთვე ვ. იარუზელსკის, ნგუენ ვან ლინსა და დ. ორტეგას.

საღამოს რესპუბლიკის სასახლეში გაიმართა დარბაზობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 40 წლისთავის გამო.

ნ. ჟელეზნოვი,
ა. კონდრაშოვი,
ვ. ჩუდოვი,
ბ. ფიშკინი.

ველისციხის ახალი კულტურის სახლი

ფართოდ გააღო კარი კულტურის ახალმა კერამ სოფელ ველისციხეში. 7 ოქტომბერს აქ გაიმართა კულტურის სახლის საზეიმო გახსნა, რომელიც თავისი არქიტექტურული იერით, ტექნიკური აღჭურვილობით ტოლს არ უდგება რესპუბლიკის საუკეთესო კულტურის სახლებს. აქ 20-ზე მეტი ოთახი განკუთვნილია მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა წრის — ქორეოგრაფიის, ფერწერის, ხალიჩების ქსოვის, ხელსაქმის წრეების მეცადინეობისათვის... ბავშვებს, ახალგაზრდებს შეუძლიათ იარონ აერობიკის წრეში, ეწვიონ დისკოთეკას. ველისციხელები, უეჭველია, განსაკუთრებით იამაყებენ ადგილობრივი სახალხო თეატრის შენობით. აქ ყოველი პირობაა შექმნილი მოყვარული მსახიობების ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისა და მაყურებლის სადღესასწაულო გაწყობილებისათვის: თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სცენა, მოსახერხებელი საგრიმიორო და სარეპეტიციო ოთახები, ნათელი ფოიეები, 630 კაცისათვის გათვალისწინებული მაყურებელთა დარბაზი. ამიერიდან თეატრს, რომელსაც 104 წელი შეუსრულდა და რომელმაც ველისციხელთა და ახლომდებარე სოფლებისა და რაიონების სასცენო ხელოვნების მოყვარულთა სიყვარული და აღიარება მოიპოვა, ექნება საკუთარი სახლი... გვერდით ბინა დაიდო მცირე დარბაზმა, რომელშიც იმუშავებს ადგილობრივი თოჯინების თეატრის დასი.

კულტურის სახლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე გამოვიდნენ რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, გურჯაანის რაიონის პარტიული და საბჭოთა მუშაკები. გაიმართა საღღესასწაულო კონცერტი სოფლის მსატვრული თვითმოქმედების მონაწილეობით.

კულტურის სახლის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გია გუშბარიძე და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა. (საქინფორმი).

საშგარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო საერთაშორისო ტექნიკურ ასოციაციათა კავშირის დელეგაცია მისი პრეზიდენტის როჟე ჯინოკოს მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან თვალსაჩინო მეცნიერები— კავშირის გენერალური მდივანი პიერ პეკუ და მისი მოადგილე გი მორაბელი.

სტუმრებს გააცნეს ქართველი ხალხის ისტორია და კულტურა, გარდაქმნის მიმდინარეობა რესპუბლიკაში, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, შეეხო რა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის საფრანგეთთან თანამშრომლობის გაფართოებას, ნოდარ ჭითანავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამისათვის არის ყველა შესაძლებლობა და ფართო პერსპექტივები.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას სჭირდება დასავლეთის ქვეყნების კაპიტალის ფართო გამოყენება. რესპუბლიკა აფართოებს პირდაპირ ურთიერთობას საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, იქაურ საქმიან წრეებთან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლანდელ ეტაპზე თანამშრომლობის ყველაზე პერსპექტიული ფორმაა ერთობლივ საწარმოთა შექმნა. ამასთან, არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიაზეც. ამ საწარმოებმა უნდა გამოუშვან კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გავა.

განიხილეს რესპუბლიკის ახალგაზრდობის, სპეციალისტთა სწავლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობანი საფრანგეთის წამყვან ცენტრებში, კერძოდ, პარიზის ხელმძღვანელი კადრების მომზადებისა და გადაამზადების ინსტიტუტში, რომლის საპატიო დირექტორია პროფესორი ჯინოკიო.

საუბრის მონაწილეებმა თქვეს, რომ საჭიროა განმტკიცდეს საქართველოსა და საერთაშორისო ტექნიკურ ასოციაციათა კავშირურთიერთობა, უფრო ეფექტიანად ჩაებაბან რესპუბლიკის მეცნიერება და სპეციალისტები ერთობლივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებაში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბახუა, საერთაშორისო ტექნიკურ ასოციაციათა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი გოჩა ჩოგოვაძე, იუნესკოს თანამშრომელი ავთანდილ ქორიძე და სხვა ოფიციალური პირნი.

(საქინფორმი).

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

ქართული პუშკინიანის ცენტრი

ა. ს. პუშკინის დაბადების 190 წლისთავის წელს კეთილი ინიციატივა გამოიჩინეს საქართველოს მწერალთა კავშირმა, მისმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა: თბილისში ლიტერატურული ურთიერთობის სახლის ბაზაზე შეექმნათ ქართული პუშკინიანის ცენტრი.

ამ ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც სპეციალურად განიხილა ეს საკითხი. აღინიშნა, რომ ლიტერატურული ურთიერთობის სახლი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა თბილისის ცენტრში, გალაკტიონის ქუჩაზე მდებარე № 20 ორსართულიან სახლში, ყველაზე უფრო შეესაბამება ასეთი ცენტრის დანიშნულებას. ამ სახლში ხომ ცხოვრობდა მიხეილ სმირნოვი — ა. ს. პუშკინის მეგობრის, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში პეტერბურგის ცნობილი ლიტერატურული სალონის დიასპლოსის ალექსანდრა ოსიპის ასული სმირნოვა-როსეტის შვილიშვილის შვილი. ქართულ-რუსული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის გაღრმავების მეზობარე ქომაგი, იგი სათუთად ინახავდა არა მარტო თაობიდან თაობაში გადმოცემულ მოგონებებს დიდი პოეტის შესახებ, არამედ მის მემორიალურ ნივთებსაც, უნიკალურ რელიკვიებს, ხოლო სიკვდილის წინ თავისი ბინაც და თვალი ფასდაუდებელი მემკვიდრეობაც უანდერძა საქართველოს, რომელიც მისთვის შობლიური გახდა. სწორედ აქ მოთავსდა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობის სახლი, რომლის ექსპოზიცია არა მარტო თბილისელთა,

(დასასრული მე-3 გვ.).

შეხვედრები ბერლინში

7 ოქტომბერს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. იარუზელსკის ბერლინში, სადაც ისინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 40 წლისთავთან დაკავშირებით იყვნენ.

გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის აქტუალურ პრობლემებზე. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაყოფიერი ურთიერთობის განმტკიცებას პოლიტიკაში, ეკონომიკაში და კულტურაში.

ორი მოკავშირე ქვეყნის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ევროპაში სტაბილურობის განმტკიცების პერსპექტივებისა და გზების შესახებ, რაც საჭიროა სრულიად ევროპის პროცესის წარმატებული განგრძობისათვის.

შეხვედრა მიმდინარეობდა გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში.

• • •

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნგუენ ვან ლინის შეხვედრა.

ამხანაგურ საუბარში ორი პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გააცნეს ვითარება თავიანთ ქვეყნებში.

გამოითქვა საერთო აზრი, რომ თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი დიდი ცვლილებების პირობებში კომუნისტებმა გაბედულად უნდა იკისრონ ინიციატივა და პასუხისმგებლობა სოციალიზმის განახლებისათვის ლენინური პრინციპებისა და იდეების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ავანგარდული როლი საზოგადოების ცხოვრებაში შეუთავსებელია დოგმატიზმთან, შემოქმედებითი აზრის მცონარობასთან და პოლიტიკურ პასიურობასთან.

აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გამოცდილების კოლექტიურ გაზიარებას.

• • •

იმავე დღეს გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის აღმასრულებელი კომისიის კოორდინატორის, ნიკარაგუის რესპუბლიკის პრეზიდენტის დ. ორტეგას შეხვედრა.

გამოითქვა ორმხრივი კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-ნიკარაგუის მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობის გამო. მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა ადამიანების სოლიდარობა გამოუცხადა ნიკარაგუელ ხალხს, რომელიც იწყებს საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ეროვნული კონსოლიდაციის საფუძველზე რევოლუციის განვითარების მშვიდობიან ეტაპს.

დ. ორტეგამ დაადასტურა ნიკარაგუის ერთგულება ცენტრალურ ამერიკაში პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ ამ რეგიონის სახელმწიფოთა მეთაურების მორიგებებისადმი.

ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოზიტიურ ცვლილებებს საერთაშორისო ცხოვრებაში, რომლებიც ახალი პოლიტიკური აზროვნების გავლენით მიმდინარეობს.

(საქდესი).

მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საქდესი), ბერლინიდან დღეს მოსკოვში გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც მონაწილეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 40 წლისთავის დღესასწაულში.

შენეფელდის აეროპორტში იგი გამოაცილეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა გ. მიტაგმა და პ. აქსენმა. გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. კოჩემასოვი.

იმავე დღეს მ.

სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებას — მწყობრი რიტმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

„რკინიგზის ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის საბაზო დარგების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 3 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს (ამხანაგები ბლაღოვესკი, ბაციკაძე) და საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს (ამხ. ეპიტაშვილი) დაეკისრათ მიღონო გადაუდებელი ზომები იმ კანონსაწინააღმდეგო მოქმედების აღსაკვეთად, რომელიც არღვევს გზის მუშაობას, გააძლიერონ მისი ცხოველმოქმედების ობიექტების (ხიდების, გვირაბების, უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძების) დაცვა და მატარებლების თანხლება გასამხედროებული დაცვის ძალებით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უნდა უზრუნველყოს მარცვლეულით, სურსათით, სათბობით, საგაზეთო ქაღალდით, საშენი ხე-ტყით, ლითონით, ცემენტით, არამადნეული საშენი მასალებითა და სხვა უმნიშვნელოვანესი საქონლით დატვირთული ვაგონების პირველ რიგში მიღება და გაგზავნა დანიშნულების პუნქტებში. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ტვირთის მიწოდების საქმეში დაშვებული ჩამორჩენის დასაძლევად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა საწარმოსთვის ცარიელ ვაგონების მიწოდება მეოთხე კვარტალში უნდა განხორციელდეს მათ განაცხადებში მითითებული რაოდენობის სრული შესაბამისობით. მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე გზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებათა ყველა უბანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო რაოდენობის თოვლსაწმენდი ტექნიკით, განსაკუთრებით ზესტაფონ-ხაშურ-ქუთაისს-ტყიბულის, ზესტაფონ-ჭიათურის, მარიგბდა-ახალქალაქის უბნებზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებს დაევალათ 1989 წლის 15 ნოემბრამდე ტექნიკურად მოაწესრიგონ თავიანთ ბალანსზე არსებული მისასვლელი ლიანდაგები და მექანიზმები, უზრუნველყონ ვაგონების დატვირთვა-განტვირთვის ფრთო ფრონტი. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად პირველ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობით მათ უნდა უზრუნველყონ ხელმძღვანელ მუშაკთა სადღეღამისო მორიგეობა დაწესებულ ნორმატიულ ვადებში, განსაკუთრებით ღამით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში ვაგონების განტვირთვის მიზნით. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა ყოველდღიურად უნდა განიხილონ ვაგონების განტვირთვისათვის მუშაობის შედეგები სატრანსპორტო შტაბების სხდომებზე. მათ უნდა გაამკაცრონ მომთხოვნელობა თანამდებობის პირებისადმი, რომელთა მიზეზითაც ფერხდება ვაგონების განტვირთვა, ტვირთის მიღება და გაგზავნა რკინიგზის სადგურებიდან და საწარმოთა მისასვლელი ლიანდაგებიდან, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა, ამასთან მოახდინონ რეაგირება ყოველ ასეთ შემთხვევაზე, როგორც საგანგებო მოვლენაზე, რომელიც ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. საჭიროა ოპერატიულად განიხილონ გამოვლენილი ნაკლოვანებანი სახალხო კონტროლის კომიტეტების სხდომებზეც, ამასთან მთლიანად გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული უფლება ბრალეულთა დასასჯელად.

საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ლობჟანიძე) დაეკალა უზრუნველყოს, რომ ნავთობპროდუქტები მიეწოდონ მომხმარებლებს, უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის სახაგრომრეწვს, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს, საქართველოს საზღვარ სანაოსნოს ნავსადგურებს. გამოყოფილი ფონდების შესაბამისად და ბუნებრივი გაზის მიწოდების შეზღუდვის ან შეწყვეტის შემთხვევაში სათბობის 15-20-დღიანი მარაგის შექმნის გათვალისწინებით.

მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. გორგოძე), რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს მოსთხოვა გაამკაცრონ კონტროლი ყველა ავტოსატრანსპორტო საწარმოში, აგრეთვე ნავთობბაზებსა და ავტოგასაწყობ სადგურებში საწვავ-საპოხი მასალების გამოყენებისადმი, ამ საქმეში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის მიზნით. საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმობარაგების (ამხ. თოფურია), საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. ჯინჯიხაძე), საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს (ამხ. გლურჯიძე), ცეკავშირის გამგეობას (ამხ. კონცელიძე), საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს (ამხ. ღურწკაია) დაევალათ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად უზრუნველყონ შესაბამის სახეობათა სათბობის მარაგის შექმნა მოხმარებლებისათვის (მათ შორის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის), აგრეთვე მისი შეუფერხებელი მომარაგება 1989/90 წლის გათბობის სეზონის ბოლომდე.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან, საწარმოო გაერთიანება „საქენერგოსთან“, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინოს საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული პროექტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1989 წლის 15 ნოემბრიდან 1990 წლის 31 მარტამდე პერიოდში მთლიანად რესპუბლიკაში დასვენების დღეების შაბათ-კვირიდან ოთხშაბათ-ხუთშაბათს გადატანისა და ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაერთიანება „საქენერგოსთან“ ერთად უნდა წარმოადგინოს საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოებთან შეთანხმებული წინადადებანი ამ პერიოდში ენერგიაგეგეგ მომხმარებელთა მთლიანად ან ნაწილობრივ გაჩერების შესახებ.

საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს“ (ამხ. ჭედია) დაეკალა უზრუნველყოს ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა საწარმოს, ფოთისა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურების პირველ რიგში მომარაგება ელექტროენერგიით, ხოლო საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტს და ბათუმის ნავთობგადასაბუნძაებელ ქარხანას (ამხ. ჩინჩალაძე) — გამონახონ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებისათვის 480 ტონა ავიასათბობის გამოყოფის შესაძლებლობა ზამთარში რეაქტიული თოვლსაწმენდი დანადგარების მუშაობის უზრუნველსაყოფად.

(საქინფორმი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

თითქოსდა რა შეიძლება ჰქონდეთ საერთო ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის საქსოვ საამქროსა და ახალციხის რაიონის ფერსას საბჭოთა მეურნეობას, მაგრამ ტერიტორიითა და საქმიანობის პროფილით აგრერიგად დაშორებულ და განსხვავებულ შრომითს კოლექტივებს თურმე აერთიანებთ მეურნეობრიობისადმი ზრელეე დამოკიდებულება, გარდაქმნის იდეების მხოლოდ სიტყვიერი აღიარება, ფორმალიზმი პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში. ვერც აქ გამმართული საანგარიშო-საარჩევნო კრებები მოგვაწონებენ თავს პრობლემატიკის სიახლითა, თვალთახედვის სიფართოვით, ადამიანების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, მათი გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფისათვის ზრუნვით. თუმცა ყოველივე ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობენ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები.

რას წუხან მქსოველები?

ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, მართალია, აღჭურვილია სამაუცო და საზღვარგარეთული ტექნიკით, მაგრამ მას საწარმოო სიმძლავრისათვის ჯერ არ მიუღწევია, დაზგა-დანადგარები, საკერავი მანქანები კი თანდათან მწყობრიდან გამოდიან. ტრიკოტაჟეები ყოველ წელს დაპირებებით ავსებენ მომხმარებელს, მაღალხარისხოვან პროდუქციას კი მაინც ვერ უშვებენ. ამიტომაც ხშირად უბრუნდებათ უკან თავიანთი ნახელავი. ამაში, კაცმა რომ თქვას, მარტო ისინი როდი არიან დამნაშავენი. ხშირად სცოდავენ ნედლეულის მომწოდებლები, რომლებიც კუთვნილ ნართს არასაკმაოდ და დაგვიანებით აწვდიან ფაბრიკას, თანაც ნაკლებხარისხიანს.

ფაბრიკაში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ხარისხის ამაღლების საკითხებზე არაერთხელ უმსჯელიათ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს. ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, სადაც აღნიშნულია გამავლიდან ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ უხარისხო პროდუქციაზე, დაისახა მდგომარეობის გამოსწორების გზები. შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საწარმოს ხელმძღვანელთა, მისი პარტიული ორგანიზაციის აყენებულ ფასდანამატის ფაბრიკა, მართალია, აღჭურვილია სამაუცო და საზღვარგარეთული ტექნიკით, მაგრამ მას საწარმოო სიმძლავრისათვის ჯერ არ მიუღწევია, დაზგა-დანადგარები, საკერავი მანქანები კი თანდათან მწყობრიდან გამოდიან. ტრიკოტაჟეები ყოველ წელს დაპირებებით ავსებენ მომხმარებელს, მაღალხარისხოვან პროდუქციას კი მაინც ვერ უშვებენ. ამიტომაც ხშირად უბრუნდებათ უკან თავიანთი ნახელავი. ამაში, კაცმა რომ თქვას, მარტო ისინი როდი არიან დამნაშავენი. ხშირად სცოდავენ ნედლეულის მომწოდებლები, რომლებიც კუთვნილ ნართს არასაკმაოდ და დაგვიანებით აწვდიან ფაბრიკას, თანაც ნაკლებხარისხიანს.

ფაბრიკაში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ხარისხის ამაღლების საკითხებზე არაერთხელ უმსჯელიათ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს. ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, სადაც აღნიშნულია ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ უხარისხო პროდუქციაზე, დაისახა მდგომარეობის გამოსწორების გზები. შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საწარმოს ხელმძღვანელთა, მისი პარტიული ორგანიზაციის აყენებულ ფასდანამატის ფაბრიკა, მართალია, აღჭურვილია სამაუცო და საზღვარგარეთული ტექნიკით, მაგრამ მას საწარმოო სიმძლავრისათვის ჯერ არ მიუღწევია, დაზგა-დანადგარები, საკერავი მანქანები კი თანდათან მწყობრიდან გამოდიან. ტრიკოტაჟეები ყოველ წელს დაპირებებით ავსებენ მომხმარებელს, მაღალხარისხოვან პროდუქციას კი მაინც ვერ უშვებენ. ამიტომაც ხშირად უბრუნდებათ უკან თავიანთი ნახელავი. ამაში, კაცმა რომ თქვას, მარტო ისინი როდი არიან დამნაშავენი. ხშირად სცოდავენ ნედლეულის მომწოდებლები, რომლებიც კუთვნილ ნართს არასაკმაოდ და დაგვიანებით აწვდიან ფაბრიკას, თანაც ნაკლებხარისხიანს.

ფაბრიკაში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ხარისხის ამაღლების საკითხებზე არაერთხელ უმსჯელიათ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს. ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, სადაც აღნიშნულია ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ უხარისხო პროდუქციაზე, დაისახა მდგომარეობის გამოსწორების

როცა „ყვავაფერი რიგზეა“...

ახალციხის რაიონის ფერსას საბჭოთა მეურნეობამ დღიდან ჩამოყალიბებისა თავი ვერ დააღწია ჩამორჩენას. იცვლებიან დირექტორები, პარტიული კომიტეტის მდივნები, მთავარი სპეციალისტები, საქმეს კი არაფერი შველის, ზარალი ზარალს ემატება, ვალი ვალს, რომელიც დღეისათვის 300 ათას მანეთს აჭარბებს. ეს მაშინ, როდესაც მეურნეობის მთელი წლიური შემოსავალი ფასდანამატის გარეშე მხოლოდ 400 ათასი მანეთია.

გარდაქმნის კურსი აქ ძალზე ნელი ტემპით იკვლევს გზას, რაც ნათლად გამოიკვეთა ამას წინათ გამართული მეურნეობის ადმინისტრაციის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებზე. აქ არ ყოფილა გულახდილი მსჯელობა იმ მიზეზებისა და ნაკლოვანებების გამომეურნეობისათვის, რომელმაც მეურნეობა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა.

პარტიული ორგანიზაციის მდივნის გიორგი ტაბატაძის მოხსენებაში იყო მხოლოდ მოწოდებები იმის თაობაზე, თუ ვინ როგორ უნდა იმუშაოს. არ იგრძნობოდა კრიტიკა, როგორც მეურნეობის ადმინისტრაციის, ისე პარტიის წევრებისა და საკუთარი თავის მიმართ. ეს მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციის კომუნისტები ის მუშაკები არიან, რომლებიც არა მარტო უნდა ხელავდნენ ნაკლოვანებებს, არამედ სამსახურებრივად არიან ვალდებულნი პირველებმა იბრძოლონ მათი დაძლევისათვის.

ფერსას საბჭოთა მეურნეობა მეხილეობა-მეცხოველეობის მიმართულებისაა, ესე იგი იმ მეურნეობათა შორისაა, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, მაგრამ ამ მხრივ აქ სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. წარმოების დაბალი კულტურისა და შრომის ორგანიზაციის მოშლის გამო სუსტია მეურნეობის ეკონომიკა, ძვირია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. გასულ წელს ცენტნერი ხილის წარმოება ნაცვლად 6ეგმიური 16 მანეთისა და 37 კაპიკისა დაუჯდათ 66 მანეთი და ად 46 კაპიკი, ხორცისა — ნაცვლად 276 მანეთისა 530 მანეთი.

მსხმოიარე თითოეული ჰექტარიდან მიიღეს 11 ცენტნერი ხილი, ნაცვლად 6ეგმიური 57 ცენტნერისა.

წლეულს ბუნების ჭირვეულობას ბოლო არ უჩანს, მთელი წელი არნახული 6ვალვებია და აგვისტოში გამოგვალვულ მიწას სეტყვა დაატყდა თავს, ურწყავში ხომ ვერაფერი მოიწიეს, სარწყავში მოქცეული ფართობებიც სანახევროდ სეტყვამ გაანადგურა. ასე საგანგაშო ვითარებაში შეუწყნარებელია ის სიმშვიდე, რომელიც ადმინისტრაციის საუბნო პარტიული ორგანიზაციის კრებაზე სუფევდა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ყველანი ყველაფერს არიან შეგუებულნი.

შრომის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლა აქ თითქოს კარგად დაიწყეს, მაგრამ იგი ურთიერთმომხოვნელობის შესუსტებისა და მთავარ სპეციალისტებისა არასათანადო კომპეტენციის გამო სრულყოფილად ვერ განახორციელეს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ არ იქნა სათანადო ახსნა-განმარტება გაწეული მოსახლეობაში. არენდა და იჯარა რაღაც თვითმიზნადაა ქცეული და არა პროდუქციის წარმოების გადიდების საშუალებად. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ შარშან მეურნეობამ ვერ შეასრულა ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის და ზოგიერთი სხვა პროდუქტის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

წელს ფერსელ მიწათმოქმედებს 24 ჰექტარი ბოსტნეული, 50 ჰექტარი კარტოფილი, 10 ჰექტარამდე სუფრის ჭარხალი და ლობიო აქვთ, სულ ესაა მეურნეობაში სათოხნი კულტურები. შრომის კარგი ორგანიზაციის პირობებში ამ ფართობის მოვლა, არა თუ 360 კომლს, თავისუფლად შეუძლია 4-5 საოჯახო ბრიგადას. და ეს პარტიული ორგანიზაციის ყურადღების მიღმა არ უნდა რჩებოდეს.

წლეულს 9 თვეში ნაცვლად 880 ცენტნერისა სახელმწიფოს მიყიდეს 258 ცენტნერი ხორცი. პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულებაზე რომ არაფერი ითქვას, ხორცის სახელმწიფო მიყიდვის სამი კვარტალის გეგმა შესრულდა 29 პროცენტით, რძისა — 60 პროცენტით, მატყლისა — 55 პროცენტით.

ფერსელები ვერც საკვების დამზადებით დაიკვეხნიან, რაც მომავალი გამოზამთრების პერიოდში კიდევ უფრო დააძნიხებს მეცხოველეობას, მით უმეტეს, რომ ჩამოგვიანებინა და გაგვიცდია, ბარალ ნელოვანია მაინც დაიფარებოდა. იმის გარდა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ვერ გვიწყობენ ხელს, იერარ ჩვენ ეიჩენთ ფსას. შედეგად ადგილის ტერიტორია ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია, ლაბორატორიულ-ანალიზური ბაზა ერთ-ერთ ადგილზეა, ფაბრიკა ამ ადგილიდან ვერ ეგუება, ბინა ვერ ეძებ, ეს ბინა ეკუთვნის ... ეს ... ეს ... ეს

ურთიერთთანადგომა

ანუ ვალი შუამავლისა

დღეს „კომუნისტის“ სტუმარია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის — ტოპონიმიკის laboratoriis უფროსი მეცნიერი თანამშრომელი შუანა სახლთხუცესელი. 1962 წელს ახალი ქართული ენის კათედრამ იგი ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალურად მიავლინა ლატვიური ენის შესასწავლად. იქვე დაამთავრა აспирантура. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ხუთსაათიანი ეზება ეროვნებათშორის ურთიერთობის მტკივნეულ პრობლემებს.

— ბატონო შუანა, ბოლო ორმოცდაათ წელიწადზე ძალიან აქტიური ურთიერთობა ერთაშორისი ურთიერთობა ... ეროვნული პრობლემები. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში „შკარად“ გამწვავებული ურთიერთობანი სხვადასხვა ... ურთიერთობანი ... ერებს შორის. პარტიული და საბჭოთა ორგანოები ამ საკითხებს ... ყურადღებას. ახლახან გაიმართა სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, თქვენ, როგორც სხვა ერების წარმომადგენელთან მოგიშვია პრაქტიკოსი, ... აფასებთ ამ მოვლენებს, ... განპირობა ბზარის გაჩენა ... „ხალხთა მეგობრობის“ ცნების ტრადიციულ გაგებაში?

— სანამ ამ კითხვაზე პასუხს გაგცემდეთ, მინდა ორიოდე სიტყვით განვუმარტო მკითხველს, რატომ ვითვლები სხვა ერების წარმომადგენლებთან მოძუშავე პრაქტიკოსად. ჩვენმა საზოგადოებამ ალბათ კარგად იცის, რომ ... ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის შესასწავლად ... ენის ... ერების ... ეროვნული ... ენის ... ეროვნული ... ენის ... ეროვნული ... ენის

გაგონილია „განათლება“ ბეჭდავს მწერალ კიტა ბუაჩიძის „შავ წიგნს“, რომელიც დაიწერა ამ ათიოდე წლის წინათ. იგი ძირითადად ეხება ჩვენი ერის მტკივნეულ დემოგრაფიულ საკითხებს. „კომუნისტის“ მკითხველს ვთავაზობთ ამ წიგნის ერთ-ერთ თავს.

კიტა ბუაჩიძე

ერთი შვილი, ერთი...

ნაწყვეტი „შავი წიგნიდან“

ჯერ ორი შვილი რა არის და.. ერთი?!

...ვაკის სასაფლაო. ერთადერთი შვილის საფლავზე დედა ციმსარე დღე დადის.. საფლავის მოვლა-გამშვენირებაზე ათასებს ხარჯავს... შავი გრანიტი უკრაინიდან ჩამოატანინა, კვიპაროსები — ბაათუმიდან... შვილი ავტოკატასტროფაში დაეღუპა; როგორც იტყვიან, საწყალმა თავი-სივე ხელით იყიდა სიკვდილი: პირდაპირ რესტორნიდან მთვრალი მიუჯდა საჭეს და... გზატკეცილის პირას მდგომი „კატოკი“ ბუზად მოეჩვენა, — აბა ბუზი რას მიზამსო და, შეასკდა... სამი თანამეინახეც იმსხვერპლა...

ახლა დედას შაშის ზარს ჰგვრის ყოველი მანქანის დანახვა, მაგრამ რა ქნას, ქალაქის ქუჩებში, აბა სულ თვალებდახუჭული ხომ ვერ ივლი...

ჯავრი ღრღნით და ჯავრი ადნობთ მასაც და მის ქმარ-პროფესორსაც, რომ შვილს... სურვილი ერთი იყო და უმალვე მანქანა მიუგორეს.

სამარეზე დარგული ვარდებისათვის სპეციალურად დაქირავებული მომვლელი ჰყავთ მიჩენილი, — აბდულა... ხან აბდულა მიუსხამს ხოლმე მათ წყალს, ხან — მისი შვილები: შვიდიდან რომელიმე...

• • •

..14 წლის გოგონა, მშობლებისათვის ერთადერთი მზე და ერთადერთი მთვარე, საქმეზე რომ მიმდგარიყო, მთელ საქართველოს დაუფიქრებლადაც რომ ანაცვალებდნენ, მესამე სართულიდან გადახტა, — ასე რომ გიყვარვართ, დაგწყეტთ გულსო.

მიზეზი: როგორ შეუბედეს საყვედურისებური რაღაც ეთქვათ მისთვის, როცა ის შინ გვიან ღამით დაბრუნდა.

• • •

..შარშან ორი დედისერთა თბილისელი ახალგაზრდა დაიხრჩო ზღვაში...

• • •

...შორეული „ლაგერებიდან“ თანაპატიმრების მიერ მოკლული შვილები ჩამოასვენეს: ზარში „რაღაც“ წააგეს, ვერ გადაიხადეს და მოკლეს. ზონის რკინის ბადესთან მიმდგარმა პატიმრებმა ჩამოსული ახლობლები თავისებურად დაამშვიდეს:

— Убили по всем правилам справедливости, — ჩვენი კანონებითო.

ერთი მათგანი — ნ. — 20 წლის, შესახედავად ვაჟკაცი, ასეთიც: ორი შვილი — ვითომ შვილიო..

...ზამორის არდადეგებზე, „სწავლით“ გადაღლილ ვაჟს, გასასეირნებლად და გულის გადასაყოლებლად, რიგა-ტალინ-ვილნიუსში გზა დაულოცეს. ჯიბეები ფულით ისე დუტენეს, რომ ის და მისი ორი ამხანაგი მარტო საუზმეზე, მხოლოდ ხიზილალა და ბლინებში, ას-ას მანეთს ხარჯავდნენ. ერთ ღამეს, ტალინში, ისე გაილეშა, ნომერში ოფიციანტებმა ზურგზემოკიდებული აათრიეს და... ძილში გაიგუდა.

ჩამოასვენეს... იყო განცხადება „თბილისში“: მშობლები... ესა და ეს... ბებიები... ესა და ეს... ბაბუები... ესა და ეს... იუწყებიან შვილისა და შვილიშვილის გარდაცვალებას“.

ახლა რომ ნებას იძლეოდნენ, როგორც ძველად, მაშინ ეს განცხადება ასე წაიკითხებოდა: „...გულდათუთქული... იუწყებიან ერთადერთი შვილისა და ერთადერთი შვილიშვილის გარდაცვალებას“.

მშობლები და მათი მშობლები! ესე იგი ექვსი წარმავალი სული იუწყება ერთადერთი ბოლომოღებული იმედის...

• • •

...შვილები თუ ვიყოლიე, მე როდისღა ვიცხოვრო, — საყვედურზე მიპასუხებდა ხოლმე ჩემი ნაცნობი ექიმი ქალი, მაგრამ არა აბორტმახერი..

ჰოდა, ერთის მეტი არც იყოლია: ოქროს „კალიასკაში“ ჩააწვინა, ოქროებს ატენიდა პირში და ოქროებითვე მოსავდა; ამ „გადასარევ ბოვს“-არა მაქვს ფული“, — რას ნიშნავდა ეს სტყვები ვერც წარმოედგინა, „მძია“, — ეს გრძნობა იყო თუ პირობითი რეფლექსი, ამით არც ოდესმე დაინტერესებულა; ფეხისა და ენის ადგმის დღიდანვე არაფერი არ უნატრია, — სანატრელად აბა როგორ გარჯიდნენ მას, — დედა ექიმი, მამა — მეცნიერი...

ჰოდა, რაღაც 22 წლის ასაკში, მოყირჭდა ცხოვრება და მიწიერ შვებას ზეციურ ნარკოტიკებში დაუწყო ძებნა... და ახლა ეს ჩვენი 42 წლის „კდემამოსილი ქართველი ქალი“, რომელსაც ამქვეყნად საცხოვრებლად ჯერ კიდევ ბევრი, ბევრი დრო დარჩენია, ყოველ შაბათ-კვირას დამდგარ ოქროს ძაღლივით გარბის ცხინვალის მახლობლად მდებარე ნარკომანთა კოლონიაში, ერთადერთი პირმშოს სანახავად და „პერედაჩის“ მისატანად...

• • •

...ძაღლის ხსენებაზე! ჩვენს დედაქალაქში ამ ბოლო დროს ძაღლების ყოლა შემოიღეს მოდაში... თუ ამას დროულად და რაღაცნაირად არ მიხედეს, ქუჩები, რომლებიც ისეც არ კრიალებენ, ძაღლების განავლით აივსება.

• • •

ერთი მანქანა, ერთი ბავშვი, ერთიც ძაღლი და... ესეც ჩვენი სანიმუშო ქართული პატრიოტული ოჯახი!

• • •

..სულ აგერ ახლა კოზეტოვის ქუჩაზე № 26-ში მცხოვრები, „ავი ძაღლის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, რუბენ მინდელოვის პროტოტიპის შვილი მიიცვალა, მირველოვი ალბერტი, შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა... ცოლმა, ასმიკამ, მისამძიმრებისას, უცრემლო თვალებით მითხრა:

— უდროოდ კი დამაქვრივა მაგრამ მაინც ვემადლიერები; დიდი სიმდიდრე დამიტოვა: ოთხი შვილი!

• • •

...დედ-მამა შედარებით ადრე გარდაეცვალა, ვერც გათხოვდა, დარჩა ეხძელასავით მარტოდმარტო... ნათესავები კი ჰყავს, მაგრამ, ამ საერთო მოუცელლობის ჟამს, შენთვის ყოველთვის ვინ მოიცლის!

ნათესავებთან კარგია ჩაის სმა საკუთარი ოცნება აქვს —გაფრინდეს ცაში, ვითარცა ჩიტი... მამა წინ აღუდგება მის სურვილს. და მოითხოვს შვილისაგან ტრადიციის გაგრძელებას, მამა-პაპის გზით სიარულს, რადგან ცხოვრების ასეთი წესი მიაჩნია მხოლოდ-დამხოლოდ ღირსეულად. სწორედ ასე ცხოვრობდა მამაჩემი, ბაბუაჩემი, — ამბობს ის. შვილი თითქოს ემორჩილება მამის თხოვნას, მაგრამ პირველსავე ნადირობაზე დაღვრილი სისხლი განარიდებს მას სასახლის კარს... ბევრი დაბრკოლება შეხვდება, სანამ ჯადოსნური ჩიტი ფრენას ასწავლი, აფრინდება კიდეც ზეკით, მაგრამ დაინახავს რა მამის სიკვდილის შემდეგ დაბნეულ, უპატრონო თავის ხალხს, ისევ დედამიწაზე ეშვება...

რა არის ეს? ზღაპარი? ლეგენდა? იგავი? ამ თითქოსდა უბრალო, ფანტასტიკურ მონათხრობში ღრმა აზრია ჩაქსოვილი — ადამიანის მუდმივი სწრაფვა ზნეობრივი სიმაღლისაკენ, თავისუფლებისაკენ, სიკეთისაკენ, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაუჯდეს ეს.

სპექტაკლის დამდგმელმა კირინ კლარკმა, მუსიკის ავტორებმა ჯონ კარტრაიტმა და ბრონ ბრეტშუმ, ქორეოგრაფებმა სანდრა რიიფმა, ალექს ო'ბაკიმ და მეილა სიქმა, მხატვარმა ენეი ოსბორნმა შექმნეს მომხიბლავი სინთეტიკური წარმოდგენა-სანახაობა. მსახიობები ამ სპექტაკლში, როგორც ეს მათ წინამორბედთ—ჰისტრიონებს ახასიათებდათ, ერთსა და იმავე დროს ტანმოვარჯიშეებიც არიან, მოცეკვავეებიც, მომღერლებიც და მთხრობელებიც. ისინი თავისუფლად ფლობენ საცირკო ეკვილიბრისტიკას, თავბრუდამხვევ კულბიტებს ასრულებენ ბურთებით, ჟონგლირებენ ჩიტრაღდნებით, უკრავენ და მღერიან...

მსახიობთა თამაში იმდენად ორგანულია, უშუალო, რომ ერთის შეხედვით, გამოუცდელ თვალს ეოლიც მოეჩვენება, მაგრამ ყოველივე ის, რასაც ინგლისელები ასე იოლად ასრულებენ, მაღალ პროფესიულ დონეზეა და დიდ შრომასაც მოითხოვს, ამ თამაშში მეღავნდება არა მარტო თითოეული მსახიობის ნიჭი, არამედ მათი ხელოვნების სპეციფიკური თავისებურებანი. სანახაობითი ხელოვნება თითქმის ერთ პირონვნებაში ვლინდება, მსახიობები ადვილად იცვლიან სახეს— ზოგი ხედ გადაიქცევა, ზოგიც ნადირებად და ფრინველებად. თვით ჯადოსნური ფრინველიც სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება და ეს გარდასახვა ჩვენს თვალწინ იმდენად ბუნებრივად ხდება, რომ მაყურებელი ხალისით ებმება თამაშში, ღებულობს იმ პირობითობას, რომელსაც სცენიდან თავაზობენ. უნდა აღინიშნოს მსახიობთა პლასტიკურობა, სიმსუბუქე და ის ხალისიანობა, რითაც გულითადად ასაჩუქრებენ მაყურებელს. მაყურებელი სულ გრძნობს იმას, რომ მსახიობები თამაშობენ დიდი გატაცებით, სიამოვნებით, რომ მათ ახარებთ, ატკბობთ ის, რასაც ქმნიან სცენაზე...

ამ სპექტაკლში ვინმეს გამოყოფა ძნელია, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ მსახიობი ალექს ბენი, მისი მოძრავი, ძლიერი მეფე, ამავ დროს ბავშვივით გულუბრყვილო სხვა სახეებში; სტეფანე კლარკის სიცოცხლით სავსე მეოცნებე უფლისწული; ხეჯი მაკ ლიოდის მასხარა, მეილა სიკას რაგანი, ანა ბელის მელი, ტომ კლარკის პითაგორე, სიუ რალმერის გრაციოზული, მსუბუქი ქალიშვილი — ჩიტი...

კარინ კლარკმა ისეთი გონებამახვილური მიზანსცენები შექმნა, რომ გჯერათ, თითქოსდა მართლა დაფრინავს ჩიტი, უფლისწული; ოსტატურად ხმარობენ მსახიობები დიდ თეთრ „ფრთებს“, მსახიობთა ყოველ მოძრაობას, მათ სულიერ განწყობას მშვენივრად გამოხატავენ მუსიკოსები... ამ სანახაობაში ყველაფერი პირობითია და ყველაფერი დამაჯერებელი, რადგან ეს არის ძალზე თავისებური, სადა და ამავე დროს რთული ხელოვნება, რომელსაც ჭეშმარიტი ნიჭის დაღი აზის.

ერთი რამ უნდა თქვას კიდევ მადლიერებით: თეატრი „გოგ“ უბრალო გასტროლიორად როდი მოგვევლინა, ისინი ჩვენთან მეგობრული გრძნობით მოვიდნენ, გამოხატეს უტყუარი სიმპათია ჩვენი ხალხისადმი, ამ მოკლე დროში ისწავლეს ქართული სიტყვები, წინადადებები და სიმღერები, რომელსაც წარმოდგენის დასაწყისში და ფინალში მღერიან და გაისმის „ბერელო პეპელას“ და „ჟუჟუნა წვიმის“ მშვენიერი ჰანგი სიკეთის, მეგობრობის და ურთიერთგაგების ნიშნად.

ნადია შალუტაშვილი.

• • •

სურათზე: ანდერსენის პიესის „ადამიანი — ჩიტი“ სცენა.

საქინფორმის ფოტო.

ინგლისელ „ჰისტრიონთა“ ხალისიანი თეატრი



რეცენზია

ამ ბოლო წლებში კულტურული კავშირები მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებთან ჩვეულებრივი ხდება — ჩვენი თეატრებიც (არა მარტო თბილისის) მიდიან საგასტროლოდ საზღვარგარეთ და ჩვენც თავის ხელოვნებას გვაცნობენ სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედნი. ამჯერადაც თბილისს ეწვია ინგლისის, ქ. სომერსეტის ახალგაზრდული თეატრი „გოგ“-ი. ყურადსაღებია, რომ მისი საქართველოს დედაქალაქში სტუმრობა უბრალო გასტროლები როდია. ამ კოლექტივმა მჭიდრო, მეგობრული კავშირი დაამყარა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ ახალგაზრდულ კოლექტივთან, რომელსაც უკვე იცნობენ მრავალ რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც და რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ჩვენი ცნობილი რეჟისორი გ. ყორდანია. ახალგაზრდა შემოქმედნი თეატრისადმი, ხელოვნებისადმი ერთნაირმა სიყვარულმა, ერთნაირმა ესთეტიკურმა ძიებებმა დააკავშირა და თუ დღეს ინგლისელები ჩვენი სტუმრები არიან, გაზაფხულზე ქართველი მსახიობები გაიცნობენ თავიანთ ხელოვნებას ინგლისელ მაყურებელს... თეატრი „გოგ“ ახალგაზრდულია და ახალგაზრდაცაა, მაგრამ მას უკვე იცნობენ ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში, როგორც სინთეტიკური ხელოვნების მქადაგებელ შემოქმედებით კოლექტივს.

თეატრი თავისი ხელოვნებით თანამედროვეა, ამიტომ მიიზიდა მან ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც ტაშით შეეგება პროლოგს— „ღამის ბარში“. ტონი ანდერსენს ეს შესავალი, შთაგონა წელს მაისში მისმა ყოფნამ თბილისში, როდესაც დაიდო ხელშეკრულება თეატრების ურთიერთგაცვლის თაობაზე...

პროლოგი იმპროვიზაციაზეა აგებული, ერთმანეთშია არეული ინგლისური და ქართული სიტყვები, სტუმარი „მოგზაურობს“ თბილისის ქუჩებში, ეძებს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორს, ათვალიერებს ქალაქს, ხედავს მის ნაკლსაც და მშვენიერებასაც და ამ მხიარულ იმპროვიზაციულ სეირელეში უცბად შემოიჭრება შავი ფერი, ფერი ბლოვისა, რომლის ხასიათიც წყვეტს „თამაშის“ ხაზს და მოულოდნელ ტკივილს გამოხატავს... ეს 9 აპრილის გამოძახილია. შეხვედრა თბილისთან, შეხვედრა ქართველებთან, ასე იწყება ზღაპარი-წარმოდგენა, რომლის გარეგნულ პირობითობაში, ირეალობაში, ღრმა და ბრძნული აზრია დაფარული...

„ადამიანი — ჩიტი“... სცენაზე „ადასარევ ბოვს“-ა, ...